01/07/2025 ქ. თბილისი

ბრძანება №1083/25

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სამაგისტრო პროგრამებზე დაფინანსების მოპოვების შესახებ

უნივერსიტეტის მართვის დებულებით (მუხლი 5) რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სამართლის სკოლის დირექტორის მომართვის საფუძველზე, სამართლის სკოლაში სამაგისტრო პროგრამებზე დაფინანსების მოპოვების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემეტრში სწავლის უფლებას მოიპოვებენ საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, უფლებამოსილნი არიან მიიღონ სრული დაფინანსება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:
   - სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე (ქართულენოვანი) - 3 ადგილი.
   - საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) - 10 ადგილი.
2. სრული დაფინანსების მოპოვებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთის დაკმაყოფილება:
   - სწავლის საფასური სრულად დაუფინანსდება იმ მაგისტრანტობის კანდიდატებს, რომლებსაც 2022- 2025 წლებში აღებული აქვთ ინგლისური ენის ერთ-ერთი გამოცდის სერტიფიკატი, მითითებული ქულებით:
     ✅ TOEFL - 85 და მეტი ქულა;
     ✅ IELTS - 6 და მეტი ქულა;
     ✅ Cambridge English Exam - 170 და მეტი ქულა.
   - უნივერსიტეტი სრულად დაუფარავს სტუდენტებს სწავლის საფასურის სხვაობას საერთო სამაგისტრო გამოცდაზე გრანტის მოპოვებისას (ენის სერტიფიკატის არარსებობის შემთხვევაშიც).
3. ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ან ორივე პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკურსის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება სტუდენტს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდაზე გრანტი მოიპოვა; თანაბარი შედეგების არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება სპეციალობაში გასაუბრებისას უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატის სასარგებლოდ.
4. სამართლის ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ მისამართზე:
   https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=168

5. საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ მისამართზე: https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=233
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საუნივერსიტეტო სერვისების სამსახურის მენეჯერს (ლუკა გახოკიძე).
7. საკონკურსო განცხადება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ug.edu.ge.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

რექტორი კონსტანტინე თოფურია

eSigned by:
კონსტანტინე თოფურია/Konstantine Topuria: 2....
კონსტანტინე თოფურია
Certified by Signify